საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

# მიგრანტი

№17 / 2016

# „ინტელექტმა“ დაიწყო შრომითი რესურსების შენარჩუნება



**უკვე 16 თვეა რაც პროექტი „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ მიმდინარეობს, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. პროექტის მიზანია აჭარის რეგიონში დაბრუნებული ეკომიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირება და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.**

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია აჭარაში მცხოვრებ ეკოლოგიურ და შრომით მიგრანტებს სთავაზობს უფასო პროფესიულ სწავლება-გადამზადებას, იურიდიულ მომსახურებას და მცირე ბიზნესის დაწყება-განვითარებისათვის გრანტებს. პროექტის განმავლობაში დაფინანსდა 4 მცირე ბიზნეს-გეგმა (სულ დაგეგმილია 16). პროფესიული სწავლების საგრანტო პროგრამით კი ორგანიზაციას 56 კურსდამთავრებული ყავს და სასწავლო პროგრამებს კიდევ 49 ბენეფიციარი გადის. მიღება კვლავ გრძელდება.



ნატა მიქელაძე

პროექტს ყველაზე მეტი ბენეფიციარი ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან ჰყავს. თუ რა პრობლემები აქვთ ქობულეთელ მიგრანტებს, როგორ ხდება ბენეფიციარებთან დაკავშირება და მათი დაინტერესება, ამ საკითხებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის თემის მობილიზატორმა ნატა მიქელაძემ ისაუბრა:

„ჩვენნაირი, პატარა, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, შრომისუნარიანი, პერსპექტიული და ესოდენ საჭირო შრომითი რესურსების უცხოეთში გადინება, ჩემთვის მიუღებელია. მიმაჩნია, რომ პროექტით – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ დაიწყო ადგილობრივი შრომითი რესურსების შენარჩუნების მცდელობა, რაც გაზრდის დასაქმებულთა რიცხვს.

მიგრანტებთან დაკავშირებას და მათ დაინტერესებას საინფორმაციო შეხვედრებით და პირადი კონტაქტებით ვახდენ, შეხვედრებისას ვაცნობ პროექტით გათვალისწინებულ კომპონენტებს და ვთავაზობ პროექტში ჩართვას. ბენეფიციარების მოძიებაში ქობულეთის პროფესიული კოლეჯის „ახალი ტალღის“ პედაგოგებიც მეხმარებიან. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების დახმარებით საინფორმაციო შეხვედრები ჩავატარე თემებშიც, მიგრანტები მოვიწვიე ოფისში და დეტალურად გავაცანი პროექტით გათვალისწინებული აქტივობები. საინფორმაციო შეხვედრებმა დადებითი შედეგი მომცა. ქობულეთი აჭარის ერთ-ერთი უდიდესი მუნიციპალიტეტია, ასი ათასზე მეტი მცხოვრებით, შესაბამისად ძალზე დიდია შრომითი მიგრანტების რიცხვიც.

ქობულეთელი მიგრანტების ძირითადი პრობლემა უმუშევრობაა. მათთან საუბრით ირკვევა, რომ ახლობლების მიტოვება და სამუშაოს საძიებლად უცხო ქვეყანაში წასვლა არავის სურს, მაგრამ ოჯახს რჩენა უნდა და ისინი სხვა გზას ვერ ხედავენ. არა და უცხოური შრომის ბაზარი მათ ვერც პროფესიულ ზრდაში და ვერც კარიერულ წინსვლაში ვერ ეხმარება. იქ მიგრანტებს სრულიად განსხვავებული, მათი პროფესიისთვის შეუთავსებელი სამუშაოს შესრულება უწევთ, იკარგება პროფესიული კადრები.

ორგანიზაციამ პროექტის დასაწყისში ჩაატარა ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა, რამაც ცხადყო, რომ გვაქვს ძალიან დიდი რესურსი დასაქმების და სწორედ პროექტის საშუალებით ბენეფიციარების განათლებაში ჩადებული კაპიტალი მოგვცემს საშუალებას მოქალაქეები აქვე დასაქმდნენ და სამსახურის საძიებლად საზღვარგარეთ აღარ წავიდნენ, მოხდება მიგრანტთა გადინების შემცირება, ან უცხოურ შრომის ბაზარს მივაწვდით გადამზადებულ პროფესიულ კადრებს და ჩვენს მოქალაქეებს აღარ მოუწევთ დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება. ეს პროექტი საშუალებას იძლევა, რომ ქვეყანაში სხვადასხვა ინვესტიციების განხორციელებისას მოხდეს ადგილობრივი შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა და აღარ დარჩეს საჭირო პროფესიული კადრების უცხოეთიდან მოზიდვა.

პროექტის ფარგლებში სულ 200-ზე მეტმა ადამიანმა მომმართა, აქედან 130-მდე ბენეფიციარმა პროფესიული განაცხადი გააკეთა, 34-მა კი – ბიზნეს განაცხადი. რამოდენიმეს სჭირდებოდა იურიდიული კონსულტაცია, იყვნენ ისეთებიც, ვინც ვერ აკმაყოფილებდა ჩვენს დებულებას.

პროექტში ჩართვით ბენეფიციარები ძალიან კმაყოფილები არიან, ნაწილი 50 წელს გადაცილებულია და როცა ამ ასაკში იწყებ ახალი პროფესიის ათვისებას, ცდილობ მოერგო შრომის ბაზარს, შენი ყოველდღიური ცხოვრება რაღაც პერიოდი იცვლება, ხდები აქტიური, იძენ ახალ მეგობრებს... ეს მათთვის არამარტო მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობასებაში დახმარებაა, არამედ შინაგანი რწმენის გაძლიერებაცაა.

ყოველთვის მტკივნეულად აღვიქვამდი ჩვენი თანამოქალაქეების მიგრაციას. ამ პროექტში ჩართვა შესაძლებლობას მაძლევს ჩემი წვლილი შევიტანო ქობულეთელი მიგრანტების მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტელექტს“ და ასოციაცია „ღირსეულ სიბერეს“, ასევე დიდი მადლობა ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯს „ახალ ტალღას“ თანამშრომლობისთვის.

მინდა ქობულეთში მცხოვრებ ყველა ეკოლოგიურ და შრომით მიგრანტს მოვუწოდო, რომ ჩაერთონ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, მიიღონ უფასო განათლება, დაიწყონ საკუთარი ბიზნესი, და ჰქონდეთ უკეთესი მომავალი“

## შენიშვნა

**შრომით მიგრანტად ჩაითვლება პირი**, რომელმაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ორჯერ ან/და არანაკლებ სამი კვირით მაინც გადაკვეთა საქართველოს საზღვარი დაბალ პრესტიჟული შრომითი საქმიანობის განხორციელებისა და შემოსავლის მიღების მიზნით.

**ეკოლოგიურ მიგრანტად ჩაითვლება პირი**, რომელიც ეკოლოგიური პროცესების გამო დაზარალდა და მინიჭებული აქვს I ან II კატეგორია გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე.

## წარმატებული ბენეფიციარი

# სტილისტი თამთა ქათამაძე

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“.

პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მცირე სასწავლო გრანტის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტები მათთვის საინტერესო და მისაღებ პროფესიებს საზოგადოებრივ კოლეჯებში - „ახალი ტალღასა“ და „ბლექსში“ უფასოდ გადიან.

„ახალი ტალღის“ ერთ-ერთი კურსდამთავრებულია „ინტელექტის“ ბენეფიციარი, 22 წლის შრომითი მიგრანტი თამთა ქათამაძეც, რომელმაც მშობლებთან და ორ დასთან ერთად თურქეთის რესპუბლიკაში ოთხი წელი იცხოვრა. ის დედასთან ერთად სტამბულში, კერძოდ ბაჯილარში სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა. თვითონ იქაური ცხოვრებით უკმაყოფილო არ იყო, მაგრამ მისი თქმით, მშობლებს სხვა შეხედულე-



თამთა ქათამაძე

ბები ჰქონდათ. მიგრანტ დედ-მამას შვილების განათლების ბედი აწუხებდათ, რის გამოც მთელი ოჯახი საქართველოში დაბრუნდა.

„ოჯახის ეკონომიკურმა მდგომარეობამ ჩემი მშობლები აიძულა სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წასულიყვნენ, მშობლებს მე და ჩემი დებიც თან გავყევით. საქართველოში დარჩენილი ძმის და ბებიას სანახავად ყოველ სამ თვეში დავდიოდით, მოხდა ისეც, რომ ვიზა არ მოგვცეს და ორი წელი ვერ ჩამოვედით. უცხოეთში დედასთან ერთად დავიწყე მუშაობა, სწავლაზე აღარც მიფიქრია, მაგრამ მშობლებს ჩვენი განათლების საკითხი აწუხებდათ და ამან გადააწყვეტინათ ჩვენი უკან დაბრუნება.

ჩამოსვლისთანავე დავიწყე ფიქრი პროფესიის შეძენაზე. ბავშვობიდან მქონდა სურვილი, რომ სტილისტი გავმხდარიყავი, თიკო მასწავლებლის (ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღის“ სტილისტების პედაგოგი) რჩევით ჩავერთე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ და ჩემი ოცნებაც ასრულდა. მე სტილისტი ვარ.

სწავლის დასრულებისთანავე პედადოგმა მასთან, სალონ „Vip style“-ში მუშაობა შემომთავაზა, მეც სიხარულით დავთანხმდი. ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, რადგან მაქვს ჩემი პროფესია, ვაკეთებ იმ საქმეს რაც მომწონს, ვუყვარვარ ჩემს კლიენტებს და რაც მთავარია, მაქვს შემოსავალი ჩემივე ქვეყანაში.

ყველა ახალგაზრდა მიგრანტს მოვუწოდებ რომ დაბრუნდნენ სამშობლოში ჩაერთონ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ საქართველოში.

**P.S. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ თამთა ქათანაძეს წარმატებებს უსურვებს.**

**ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე**
**მისამართი:** ბათუმი, ფიროსმანის №18
**ტელ: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50; მობ: 592 57 18 00**
**ელფოსტა:** info@intellect.org.ge;
**ვებგვერდი:** www.intellect.org.ge